ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 1732 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ოთხშაბათი, 20 თებერვალი № 1732

გაზეთი ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ხუთშაბათს, 21 თებერვალს,

კნ. თამარა იერემიას ასულის მელიქიშვილის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, ბერძენთა წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქალი კნ. მარიამ დიმიტრის ასული მაღალაშვილისა.

პარასკევს, მარტის 1-სა, სოფ. არბოში, წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება **წლის წირვა და პანაშვიდი**

დეკანოზ მღვდელ შალვა მიხეილის ძის ყურცულის

სულის მოსახსენებლად. ქვრივი ნინო ფიროსმანის ასული ყურცულისა შვილებით და სამიოურთ აუწყებენ ამას განსვენებულის ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთა და სთხოვენ მათ მობრძანდნენ წირვაზედ, სოფ. არბოში. (2—1)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუსეთის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—11)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმით: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმანოვის სახლი.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფილდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: გუკაა, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ქართული თეატრი

საუკეთესო რეპერტუარი

პარასკევს, 22 თებერვალს, 1902 წ.

I

ორი გმირი

ისტორიული დრამა გურულების ცხოვრებიდან.

II

საღამოთი ერთი ცხვირი ხვირის

ვოდევილი 1 მოქ. სუნდუკიანცისა.

შაბათს, 23 თებერვალს.

ვალერიან გუნიას საბენეფისოდ

I

ძალა აღმართსა ხნავს

კომედია 4 მოქ. გუნიას-მიერ გადმოკეთებული სოლოვიოვიდან.

II

ანდერძით

დრამატიული სურათი 1 მოქ.

კვირას, 24 თებერვალს.

უკანასკნელი წარმოდგენა

I

ფული და ხარისხი

კომედია 3 მოქ. აზიანისა.

I'

ორლანი და ლუკა

ფარსი 3 მოქ. გადმოკ. დ. ერისთავის-მიერ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ.

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს, (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

ქ. ბ ა თ უ მ შ ი

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიოს ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—19)

გუშინდელი დღე

გუშინ, 19 თებერვალს, შესრულდა 41 წელიწადი, რაც რუსეთში განხორციელებულ იქმნა უდიდესი რეფორმა: გლეხთა განთავისუფლება ბატონ-ყმობიდან.

ამ რეფორმამ განაახლა რუსეთის ცხოვრება და დიდი იმპერია ჩააყენა ევროპის საერთო განვითარების პირობებში. მას მოჰყვა სხვა რეფორმებიც და ამგვარად დაიწყო ნამდვილი ხანა რუსეთის მოქალაქობრივის ისტორიისა. განუზომელია ამ რეფორმათა მნიშვნელობა რუსეთის ცხოვრებაში! როგორც საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ დასდო ახალი აფუძველი დასავლეთ ევროპის პოლიტიკურის ცხოვრებისათვის, ისე 19 თებერვლის რეფორმამ შეჰქმნა ახალი პირობები აღმოსავლეთ ევროპის იმპერიისათვის...

...სწორედ ამ სოციალურმა რეფორმამ წააქცია ის დედაბოძი, რომელზედაც გამაგრებული იყო ნამდვილი აზიური ცხოვრება რუსეთისა. მას შემდეგ სისწრაფით ირღვევა ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიური ნიადაგი და რუსეთი ვითარდება იმ კანონების მიხედვით, რომელთაც უფრთხოდნენ როგორც „სლავიანოფილები“, ისე „ზაპადნიკებიც“. რუსეთის მრეწველობის ზრდამ საზოგადოებრივს ასპარეზზე გამოიყვანა ისეთი ელემენტი, რომელსაც მე-40 და მე-60 წლების მოწინავე თაობა სრულიად არ იღებდა სათვალავში. სიტყვა „ხალხი“ სრულიად სხვა ფერით შეიღება და სხვა შინაარსისა შეიქნა. ამასთან ერთად სხვა იმედებიც დაიბადა, უფრო რეალური და უფრო ფართოც.

ამ ჟამად უკიდურესი რეაქციონერებიც არ უარჰყოფენ იმ ფაქტს, რომ რუსეთის საზოგადოებისა და ხალხის თვითცნობიერებამ უკანასკნელ წლებში დიდი ნაბიჯი წასდგა წინ. როგორც გუშინაც აღვნიშნეთ „პრესაში“, რუსეთის ხალხის მოთხოვნილება სწავლა-განათლების საქმეში შესანიშნავად გაიზარდა; ამას არ უარჰყოფენ კონსერვატიული გაზეთებიც და რეფორმას ღაღადებენ.

მოთხოვნილება საზოგადოთ გაიზარდა და დაკმაყოფილებაც, სოციალურის კანონის ძალით, უნდა გაიზარდოს. ესეც ერთგვარი კათეგორიული იმპერატივი გახლავს და მის ძლევამოსილებას ვერავინ შეუღობავს გზას, ვერაფერი ვერ დაუდგება წინ.

საზღვარ-გარედ

შორე-აღმოსავლეთი. ცნობილ ინგლისელ მოგზაურს კოლკონს მოუგლია წყნარ (ან დიდ) ოკეანეს კუნძულები და გამოუცია ამ მოგზაურობის აღწერა. გაზეთებში მოყვანილია ამ წიგნიდან ზოგიერთი ადგილები, რომელნიც პოლიტიკას შეეხებიან. ავტორი წყნარ ოკეანეს მომავალ „ხმელთა შუა ზღვას“ უწოდებს, რადგან იგი მეოცე საუკუნის დიად ბრძოლისა და შეტაკების არენა იქნებაო. სუეცის არხმა მეტად შეამოკლა გზა ევროპიდან წყნარ ოკეანემდე, ისტმიის არხმა დაუახლოვა იგი ამერიკის შეერთებულ შტატების აღმოსავლეთ ნაპირებს, დიდმა რკინის გზებმა საკვირველად შეამცირეს მგზავრობის დრო; რუსეთმა გადაალახა აზიის მატერიკს და ოკეანთან დაიბანა; შეერთებული შტატები გაგრძელდნენ გონოლულუსა და ფილიპის კუნძულებამდე და ხელში იგდეს საუკეთესო ნავთ-სადგური სამოას კუნძულებისა; იაპონია გაიზარდა და გახდა ზღვის პირველ ხარისხოვანი სახელმწიფო; გერმანია გამაგრდა კიაოჩაუში, აზიაში და ახალ გვინეაზე, ავსტრალია გაერთიანდა და დაუშრეტელ საშუალებისა და საკვირველის ენერგიის მიზეზით, გახდა მომავალ ბრძოლის ერთ უმთავრესს ფაქტორად; პორტუგალია და ესპანია თითქმის სრულებით განჰქრენ სცენიდან, სამაგიეროდ ჰოლანდიას ჯერ კიდევ შესამჩნევი ადგილი უკავია, ყველა ღონეს იკრეფს, ყველა ემზადება სასასპარეზოდ და დადგება დრო, როცა წყნარი ოკეანე მრისხანე და საშინელი შეტაკების ასპარეზი გახდება.

უმთავრესს როლს მომავალ შეტაკებაში კოლკონი ამერიკის შეერთებულ შტატებს აკუთვნებს. მიზეზი ამერიკის პირველობისა სიმდიდრე და ხალხის ჩქარი გამრავლება არის. შეერთებული შტატები განვითარების სულ ახალ გზას ადგია ეს ერთი ხანი; ეს გზა სახიფათო და მეტად პასუხის საგებია; ამერიკელები იძულებული ხდებიან დიდი მსხვერპლი შესწირონ ამ ახალ გზას და უარ-ჰყონ ბევრი, დიდი ხნისაგან შეთვისებული, ტრადიციები. მეორე ადგილს ამერიკის შემდეგ დაიჭერს ავსტრალია, რომელსაც ბევრი რამ აქვს საერთო ამერიკასთან. ავსტრალიელებს მონროეს დოკტრინა ჯერ არ გამოუცხადებიათ და არ ჩაურთავთ იგი ეროვნულ-პოლიტიკაში, მაგრამ იგი სცოცხლობს ყოველ ავსტრალიელის გულში.

ოსმალეთი. მაჰმადიანობის გამოცოცხლებისა და გაცხოველების ნიშნები თან-და-თან უფრო მრავლდება. წყნარ ოკეანეზე, მომავალ დიად შეტაკების არ იყოს, მოსალოდნელია მაჰმადიანობის საქრისტიანოსთან შეტაკებაც. გაზეთ „თერჯიმანი ხაკიკატას“ სიტყვით, ინდოეთელ მაჰმადიანების ორგანოს მოწოდებით ინდოეთის მაჰმადიან ქალთაგან რამდენიმე ადგილას კომიტეტი შესდგა გეჯასის რკინის გზისათვის შემოწირულებათა შესაკრებად. საყურადღებოა მეორე ცნობაც: სპარსელ მლოცველების რიცხვი, რომელნიც მექაში წავიდნენ და რომელთაც სტამბოლზე გაიარეს, 10 ათასზე მეტი ყოფილა. ამოდენა მლოცველები სპარსეთიდან არასოდეს არ ყოფილა. ოსმალეთის სულთანს მლოცველებისათვის ხუთი გემი ჰყავს და სულ მცირე ფასით ან სულ უფასოდ მიჰყავს და მოჰყავს ისინი. ყველა მაჰმადიანების სოლიდარობა, რომელიც ბევრს ეხლაც ზღაპარი ჰგონია, თან-და-თან ყველასათვის თვალსაჩინო სინამდვილედ ხდება.

ახალი ამბავი

◆ ტფ. **სამეურნეო ბანკის** მორიგი წლიური კრება დაინიშნა 10 მარტისათვის. სხვა-და-სხვა საქმეთა შორის კრებაზე მოხდება არჩევნები გამგეობის თავჯდომარის და საბჭოს ერთის წევრის თანამდებობაზე, რადგან გ. ს. განძიელსა და თავ. ნ. ბ. ერისთავს სამსახურის ვადა უთავდებათ.

◆ მოსკოვის გაზეთებში დაბეჭდილია იმ პირთა სია, რომელნიც 9 თებერვალს მოსკოვში მომხდარ უწესოებათა გამო **ადმინისტრაციულის წესით იქმნენ დასჯილნი.** ამათ შორის ორი ქართველიც არის: 1) მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, იურისტი, პეტრე დავითისძე აბაშიძე, რომელსაც სამი თვით დაპატიმრება მიესაჯა, და 2) იმავე უნივერსიტეტის სტუდენტი, ბუნებისმეტყველი, ნიკოლოზ ნაუმისძე ჩიგოგიძე, რომელსა მიესაჯა ორის თვით დაპატიმრება.

◆ გუშინ, 19 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატა, პალატის წევრის ბ-ნ ფრანცოვის თავმჯდომარეობით, შეუდგა ბორჩალოს მაზრის უფროსად ნამყოფის **არნოლდის** საქმის განხილვას. როგორც იციან მკითხველებმა, მას სამსახურის დროს სხვა-და-სხვა დანაშაულობათა ჩადენა ბრალდება. ბრალმდებელია პროკურორის ამხანაგი ბ-ნი ხლოდკოვსკი, ხოლო ბრალდებულ არნოლდს იცავს ნაფიცი ვექილი ჩემესოვი. სასამართლოში საქმის გარემოების საკითხავად დაბარებულია სულ 100 მოწმე. მათ შორის: ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი ბ-ნი ბიკოვი, ბორჩალოს მაზრის ბოქაულები და სხვანი. საქმის გარჩევა სამ დღეს გასტანს.

◆ ხვალ, 21 თებერვალს, კავკასიის მთავარ მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს თა-

ვის სასახლეში გამართული ექნება **მეოთხე** ალი. ბალზე მიწვეულნი არიან ტფილისის დიდკაცობა.

✦ როგორც გვატყობინებენ, განჯაში 25 მარტს გაიმართება **ქართული საღამო** (სპექტაკლი და კონცერტი) წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ ხვალ ალექსანდრე ნეველის სობორში გადაიხდიან **გოგოლის** სულის მოსახსენებლად პანაშვიდს, რომელზედაც დაესწრება სამოსწავლო ადმინისტრაცია და საშუალო სასწავლებლების ყველა შეგირდები.

✦ 21 თებერვალს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადაიხდიან პანაშვიდს **გოგოლის** სულის მოსახსენებლად.

✦ უწ. სინოდის სამოსწავლო საბჭომ, განიხილა რა სკოლების გაუმჯობესების საქმე, საჭიროდ დაინახა, რომ კავკასიაში, სადაც კი სექტანტები მოსახლეობენ, გაიხსნას საეკლესიო **სამრევლო სკოლები**, რისთვისაც ამ თავად გადასდო 3,000 მანეთი.

✦ ხვალ, 21 თებერვალს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიისა, რომელზედაც განხილულ იქნება ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის** დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელისა და მასწავლებელთა მოხსენება კავკასიის სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელის შენიშვნებზე ხსენებულ სასწავლებლის შესახებ.

✦ ქიათურის იაფ-ფასიან **ბიბლიოთეკა-სამკითხველოს** გამგემ ამ დღეებში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას მიჰმართა თხოვნით დახმარება გაუწიოს სამკითხველოს საჭირო წიგნების მიწოდებით.

✦ დღეს, 20 თებერვალს, ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია საზოგადო კრება **პირუტყვთა მფარველ** საზოგადოების წევრთა.

✦ დღეს, 20 თებერვალს, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა დ საბჭოს იმ განსაკუთრებულის კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ციციშვილის **ბაღის შემაგრების** შესახები პროექტების განხილვა; სხდომაზედ, სხვათა შორის, მიწვეულნი არიან გზათა უწყების ინჟენერი კალამკაროვი, ტფილისის ტეხნიკურ საზოგადოებიდან ფლორენსკი და ერევნის რკინის გზის მკეთებელ სამმართველოს ინჟენერი ბ-ნი კნეპპერი.

✦ ამ გაზაფხულზედ რომ **წყალ-დიდობისაგან დაიცვან** მდინარეთა ნაპირები სხვა-და-სხვა ალაგს, მათ შორის ლიახვისა, გადაწყვეტილია, სახელმწიფო ტყეებიდან მუქთად მიეცეს ამ საჭიროებისათვის 2833 კუბიკური საჟენი ფიჩხი და მუხის ხეები.

✦ ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვას ამ წელს დიდი დეფიციტი აქვს, რის გამოც ქალაქის გამგეობასა სურს, როგორც გადმოგვცემენ, მოხსენება წარადგინონ ქალაქის საბჭოში, რომ უძრავ ქონებათა დასაფასებელი გარდასახადი მომატებულ იქმნას, რათა **დაიფარონ** ეს დეფიციტი.

✦ როგორც გადმოგვცეს, ვერაზე გამართული ბავშვთა თავშესაფარი **„იასლი“** დროებით დაიხურა, რადგან ბავშვთა შორის წითელა მძვინვარებს.

✦ ხმოსანმა ავთანდილოვმა განცხადება შეიტანა საბჭოში იმის თაობაზე, რომ გადაათვალიერონ დადგენილებანი **საადრესო ფურცლის** შესახებ ტფილისში. ამ განცხადების მიზეზი ის იყო, რომ საბჭო ამტკიცებდა, შემოსავალი ხარჯს ვერ აუვალებს კი დაიწყო, რამდენი საადრესო ფურცლების გასყიდვა შეიძლება, რომელიც დიდ ფულს შემოიტანს. წარმოდგენილი გამოანგარიშებიდანა სჩანს, რომ საშუალო რიცხვი რკინის გზით მოსიარულეებისა წელიწადში უდრის 600,000, საქართველოს სამხედრო გზით 32—35,000 და კახეთის გზით ათი-თორმეტი ათასს. ეს ანგარიში ცხადად ამტკიცებს, რა ფულიც უნდა შემოვიდეს.

✦ პეტერბურგის დამზღვევმა საზოგადოებამ აცნობა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ მომავალს არჩევნებზე იმან დაავალა საზოგადოების აგენტს **ზ. აბრამიანს**, იყოს საზოგადოების წარმომადგენლად.

✦ სამხედრო უწყებას შეუძენია კავკასიის სამხედრო ოლქისათვის **საგზაო პურის-საცხობი**, რომელიც იკეცება და ადვილად გადასატანია, სადაც სურთ.

✦ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის თვით-მართველობის წინაშე, რომ დაწესდეს **საქალაქო განცორა გასაგზავნ ბიჭებისა** სალდათის ბაზარში. ამასთანავე უფროსი ზედამხედველი აუწყებს მცხოვრებთა საჩივარს მუშებზე, რომ ხშირად სახლში გაგზავნილს სანოვაგეს გვიკარგავენ მუშები ან კიდევ გვპარავენო, და ზოგჯერ თითონ მუშებიც იკარგებიან და ვერა ვპოულობთო. ამ გვარად ოთხ-ხუთი მანეთის სავაჭროს მუშებს ველარ ვანდობთ. ამას დასძენს უფროსი ზედამხედველი, რომ ეს საჩივრები მართალია, ჩვენი აგენტებისთვის ბევრჯელ შეუჩივლიათო; ამისთვის საჭიროა, მუშებს რამე ნიშანი ჰქონდეთ და სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებმა სასტიკი ყურადღება იქონიონო.

✦ პოლიციის მე-8 ნაწილში, 18 თებერვალს შემდეგი ბოროტ-მოქმედება მოხდა: რიყის ქუჩაზე, ალხაზოვის სახლში, ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ ტფილისის მეორე გილდის ვაჭრის სერგო რაფიევის მაღაზიის ჭერი ჩაუმტვრევიათ და მაღაზიაში ჩასულან; იქიდან გამოუტანიათ აბრეშუმეულობის სხვა და სხვა საქონელი, სულ 1400 მანათისა და გაქცეულან. პოლიცია ბოროტ მოქმედთ კვალში ჩასდგომია და პოლიციის მე 7 ნაწილში მცხოვრების ბრონისლავ ოსოვსკის სახლში დაუჭერია ტფილისის გრენადერთა პოლკის დეზერტირი პავლე დიმიტრის ძე გურეშიძე, რომელსაც აგრეთვე ბრალდებდა 1900 წელს ხაილოვიჩის ბრილიანტების მაღაზიის გატეხა და იქიდან სხვა და სხვა ძვირფას ნივთების მოპარვა. ოსოვსკის სახლში აღმოჩნდა რაფიევის მაღაზიაში მოპარული აბრეშუმეულობის ზოგი ნაჭერი. პოლიციამ დაპატიმრა გურეშიძე და მასთან ბრონისლავ ოსოვსკიც.

ქუთ. გუბ. თავად-აზნაურთა დეპუტაცია პეტერბურგში

„პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია:

11 თებერვალს ქუთ. გუბ. თავად-აზნაურთა დეპუტაცია წარუდგა მ. ი. უმაღლესობას დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს. წარდგენას დაესწრნენ: მათი უმაღლესობანი დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის შვილები და აგრეთვე დიდი მთავრინები მარიამ გიორგის ასული და ქსენია ალექსანდრეს ასული. წარდგენის შემდეგ ქუთ. გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა წაიკითხა და მიართვა მის უმაღლესობას შემდეგი ადრესი:

„თქვენო იმპერატორებით უმაღლესობავ! ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი უსაზღვროდ მოხარულნი არიან, რომ შემთხვევა მიეცათ კვლავ მოგიძღვნან და გამოგიცხადონ უსაზღვრო სიყვარული და მადლობა, რომლით თქვენდამი გამსჭვალულნი არიან ქუთაისის გუბერნიის ყველა მცხოვრებნი. კავკასიის ის ხანა, როდესაც თქვენი უმაღლესობა ბრძანდებოდით მის მმართველად, ოქროს ხანაა ამ ქვეყნის განვითარებისა და გაევროპიელების ისტორიაში. ეს ხანა აღბეჭდილია ისეთის დიადის საერთო სახელმწიფო რეფორმებისა და ცვლილებათა განხორციელებით, როგორიც არიან გლეხთა განთავისუფლება, სასამართლოს რეფორმა და საქალაქო თვითმმართველობა. თქვენი ზრუნვა მცხოვრებთა განათლებაზე ნამდვილი მამობრივი იყო; თქვენ მშვენიერად იცოდით თქვენდამი რწმუნებულის ხალხის ზნე-ჩვეულება და განსაკუთრებული თვისებანი და სამართლიანად ეპყრობოდით ამ თვისებათ; თქვენ თავგანწირულად შრომობდით მრავალ-ტანჯულის ქვეყნის დამშვიდებისათვის და უცხო მტერთაგან უზრუნველყოფისათვის; ამასთანავე თქვენს მაღალს მფარველობასა და მზრუნველობას კავკასია არ მოჰკლებია მის შემდეგაც, რაც თქვენმა უმაღლესობამ თავი დაანება ამ მხარის მართვა-გამგეობას. ყველა ამის გამო თქვენის იმპერატორებითი უმაღლესობის სახელი აღტაცებით იხსენიება კავკასიაში ყველასაგან, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად და თქვენის ბრძნულის მართვა-გამგეობის ამბავი განუწყვეტლივ გადადის ერთის თაობიდან მეორეში.

თქვენო იმპერატორებით უმაღლესობავ! ქართველ ერს მტკიცედ სწამს და არასოდეს არ ეჭვობს, რომ თქვენ დაუახლოვდით მას, რომ პასუხად მის უზომო თქვენდამი სიყვარულისა თქვენც შეიყვარეთ იგი მთელის გულით, რომ მისი დღესასწაული თქვენც მიგაჩნიათ დღესასწაულად, მისი სიხარული თქვენც გახარებთ, მწუხარება-კი—გაწუხებთ. ხოლო იმით, რომ თქვენ ბედნიერად ჩასთვალეთ ჩვენს დღესასწაულებზე დასწრება ჩვენის უძვირფასესის ხელმწიფე იმპერატორის წარმომადგენლად და იმ სიტყვებით, რომლითაც კეთილ ინებეთ და მიჰმართეთ დღესასწაულებზე ქართველთა წარმომადგენლებს,—თქვენ კიდევ უფრო გაგვამხნევეთ, მამობრივის ალერსით მოგვეპყარით და სულიერად აღგვამაღლეთ. მუდამ მადლიერი საქართველო ევედრება უზენაეს შემოქმედს მოგანიჭოს თქვენ და მთელს თქვენს უავგუსტოეს ოჯახს დღეგრძელობა ჩვენის საერთო და დიდებულის სამშობლოს სასარგებლოდ“.

დიდი მთავრის პასუხი ამ ადრესზე უკვე გვაცნობა დეპეშამ.

დაბა-სოფლები

ქისტაური. შაბათს, 16 თებერვალს, ს. ქისტაურში გადაიხადეს წლის წირვა და პანაშვიდი თ. რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად. მწირველი იყო შუამთის მონასტრის საზინადარო მღვდელ-მონაზონი ტარასი თავისივე კრებულით და ადგილობრივის მღვდლით. წირვას დაესწრო დიდ-ძალი საზოგადოება და ს. ქისტაურის სკოლის მოწაფენი. წირვის შემდეგ ყველა—დიდი და პატარ—გაემართა იქითკენ, სადაც რაფიელი ასაფლავია და იქ, მის საფლავზე, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი. პანაშვიდის შემდეგ რაფიელის რძალმა ნენე ერისთავისამ წაიკითხა გრძნობიერი ლექსი.

რუსეთის ქრონიკა

„კიევლ.“ სიტყვით, წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტის შესავალში გამოკიდულია შემდეგი განცხადება: „კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტში სწავლა შეჩერებულია, ვიდრე ამაზე განსაკუთრებული განცხადება არ იქნება; აგრეთვე სტუდენტებს ალეკრძალებათ უნივერსიტეტის დაწესებულებაში სიარული. სტუდენტებს უნივერსიტეტის მთავრობასთან მოლაპარაკება შეუძლიანთ ფოსტით. რექტორი უნივერსიტეტისა ფორტინსკი. 5 თებერვალი 1902 წ.“.

⁂ შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრების შეთანხმებით, ამიერიდან ყველა რკი-

---

ფელეტონი

უბრალო საუბარი მეცნიერულ საგნებზე

II*)

როგორც ჩვენ ზევით დავინახეთ, ერთ დროს ჩვენი დედა-მიწა ჩვენი მნათობი მზის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ის მოსცილდა მზეს და თავისი საკუთარი ცხოვრება დაიწყო. იქვე არაა, ვერც ის ასცილდებოდა საზოგადო ბედის წერას: ისიც დაიგუნდა, შებურთდა ატომების ერთი მეორის ზეგავლენის ქვეშ, და ტემპერატურა რამოდენიმე ათას გრადუსამდე ასწია მაზედ. ისეთივე ცეცხლის ოკეანები, ცეცხლ-მქშინავი ტალღები, სულშემხუთავი გაზათ ქცეული ლითონები, როგორც ეხლა მზეზედ არის, აი მაშინდელი დედა-მიწის სურათი. მაგრამ დრო გადის და დედა-მიწა თანდათან ცივდება, ტემპერატურა იწევა დაბლა და სხვა-და-სხვა ორთქლები, რომელნიც მას გარს ეხვევიან, წყლებად ქცეულნი, დაბლა დედა-მიწის ზურგზედ ეშვებიან. აი ამ ხანას ეკუთვნის ისეთი ელემენტების გაჩენა, რომელნიც საჭირო იყვნენ ორგანიზმების ასაღორძინებლად. უმთავრესი ელემენტი, ურომლისოდ ცოცხალი ნივთიების წარმოდგენა შეუძლებელია, ეს ერთნაირი გარცისებური ნივთიერება არის, რომლის ნიშნობლივი თვისება მის დაყოფვაში გამოისახება. ეს ელემენტი, როგორც ფიზიოლოგი ფერვორნი[4]) ამბობს, ცეცხლისა და წყლის ერთი მეორეზე ზეგავლენის წყალობით არის აღორძინებული. ამ ელემენტის გაჩენის შემდეგ სიცოცხლეს ბევრი აღარ დაუგვიანებია თავის გამოჩენა. გაჩნდა ეგრედ წოდებული პროტოპლაზმა ანუ, როგორც ამას ჰეკელი უწოდებს, მონერა (monera), რომლიდანაც შემდეგ დიფერენციაციის წყალობით პროტისტები—პროტოფიტა (protophita) და პროტოზოა (protosoa)—განვითარდნენ. პირველი ამათგანი საფუძვლად დაედო ყველა მცენარეთ, ხოლო მეორე—ყველა ცხოველთ. თუ როდის გაჩნდა დედა-მიწაზე პირველი ცოცხალი არსება, ამან დიდი კამათი გამოიწვია მეცნიერებაში. მეცნიერნი: რიხტერი, ჰელმჰოლცი და ვ. ტომსონი იმ აზრის იყვნენ, რომ ის თესლი, რომლიდანაც პირველ-დამწყე ორგანიზმი წარმოსდგა, დასაბამიდან არსებობს ბუნებაშიო. მათის აზრით, თუ ეს თესლი იმ დროს მოხვდა რომელიმე პლანეტაზე, რომ ეს უკანასკნელი მზათ არის ორგანიზმების ასაღორძინებლად, მაშინ ჩნდება მაზე ორგანიული ცხოვრებაო. ზოგიც იმას ამბობდა, ვითომც პროტოპლაზმა დედა-მიწაზე მაშინაც კი არსებობდა, როცა ის გალხვალი იყოო, მაგრამ ყველაზე უფრო ჭეშმარიტი აზრი ამ საინტერესო კითხვის შესახებ მეცნიერმა ჰეკელმა გამოსთქვა. „ცოცხალი ნივთიერება—ამბობს ჰეკელი—დედამიწის განვითარების რომელიმე საფეხურზე წარმომდგარიყო უნდა უსიცოცხლოდანო, რადგანაც ისეთი ხანა ყოფილა ოდესმე დედა-მიწაზე, რომ მაშინ არავითარ ორგანულ არსებას არ შეეძლო მაზე არსებობაო; მაგრამ როგორ მოხდა ეს პროცესი, ამაზე დაწვრილებით ვერც ერთი მეცნიერი ვერ იძლევა პასუხს, რადგანაც ძნელი წარმოსადგენია ის მომენტი დედა-მიწის ცხოვრებისა, როცა მაზე ორგანიული ცხოვრება იწყებოდა“ [5]).

უკანასკნელ ხანებში ამ კითხვის შესახებ წარმოთქმული აზრების კრიტიკულმა განხილვამ ნათლად დაგვანახა, რომ ცოცხალი ნივთიერება მართლა უსიცოცხლო მატერიიდან არის წამომდგარი: მეცნიერებამ პრინციპიალური განსხვავება ვერ ნახა მათ შორის. ფიზიოლოგმა ფერვორმა ამ აზრების კრიტიკულად განხილვის შემდეგ დაასკვნა: „სიცოცხლე დედა-მიწაზე თავიდანვე გარეგან პირობებზე იყო დამოკიდებული. ის ერთი ფუნქციათაგანია დედა-მიწის მატემატიკურად განვითარების ისტორიაში. სანამ დედა-მიწა მნთებარე შარს წარმოადგენდა, მანამ მაზე ცოცხალი არსების გაჩენა შეუძლებელი იყო; მაგრამ სიცოცხლე უნდა აღორძინებულიყო მაზე ისე აუცილებლად, როგორც რომელიმე ხიმიკური შეერთება ღორძინდება, როცა მზათ არის ამისთვის საჭირო პირობები. ცოცხალი ნივთიერება ნაწილია დედა-მიწის მატერიისა [6]). ამის შემდეგ უეჭველია, დიდხანს ველარ დამაგრდებოდა ის ფანტასტიური შეხედულება Spiritusanimalis-ზე, რომელიც კარგა ხანს იყო გამეფებული მეცნიერებაში [7]).

თუ კი სიცოცხლე ოდესმე უსიცოცხლო მატერიიდან არის წამომდგარიო, იფიქრეს ზოგიერთმა მეცნიერებმა, შეიძლება რამენაირად ეხლაც მივიღოთ ის უსიცოცხლო მატერიიდანაო და ის იყო შეუდგნენ ლაბორატორიებში გულ-მოდგინე მუშაობას ამ ნიადაგზე. პირველი ცდა ამ საგნის შესახებ მეცნიერმა შვანმა მოახდინა, შემდეგ სცადეს მეცნიერმა ბასტიანმა, გუიცინგმა, პფლიუგერმა და პასტერმა, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა: ცოცხალი ნივთიერების მიღება უსიცოცხლო მატერიიდან ყოვლად შეუძლებელი შეიქნა [8]). ცხადია, ეხლანდელ ტელურულ პირობებში სიცოცხლის თავის-თავად ჩასახვა შეუძლებელია; ამიტომაა, რომ ეხლა აღარ ხდება ეს საიდუმლოებით მოცული პროცესი, ამისთვის საჭიროა ის თავისებური პირობები, როგორიც პირველი ცოცხალი ნივთიერების აღორძინების დროს იყო დედა-მიწაზე.

ვ. დ—ძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1731

[4]) იხ. მისი „Основы ученія о жизни“ томъ II 76, 84 გვ.

[5]) Ernst Haeckel: „Cenerelle morphologie der organismen,“ ტ. I. ამაზე პროფესორი ფერნონი უთითებს.

[6]) „Общая физіологія“ Ферворна, т. 2. გვ. 89.

[7]) ibiqem.

[8]) „Исторія матеріализма“ Ланге, გვ. 507—13.

ნის გზების სადგურებზე მიიღებენ გასაგზავნად და დაურიგებენ ადრესატებს შეკვეთილ კორესპონდენციას. იმ სადგურებზე, სადაც საფოსტო დაწესებულება არ არსებობს, ამგვარ კორესპონდენციის მიღება-დარიგება დაევალა სადგურების უფროსთ ან რკინის გზის სხვა აგენტს.

∝ მთავრობას გადაუწყვეტია მაისში პეტერბურგს მოიწვიოს რუსეთის მეურნეთა კრება. როგორც იუწყებიან, ამგვარი კრება ყოველ ორ წელიწადში მოხდება, ხან პეტერბურგსა და ხან მოსკოვს.

პრესსა

„ლიტერატურული ვესტნიკ“-ის პირველი წიგნი მთლად გოგოლის ცხოვრებას შეეხება. სხვათა შორის, ამ წიგნში ბ. ვიტბერგი მოგვითხრობს მსახიობის ა. ლავროვის საუბარს როსტოველ „გოროდნიჩზედ“, რომელმაც სკვოზნიკ-დმუხანოვსკში თავისი თავი იცნო. ეს ამბავი მოხდა 1848 წელს.

> არდგენდნენ „რევიზორს“,—ამბობს ლავროვი. ეს პიესა აქ, მგონია, პირველად მიდიოდა... თეატრი ხალხით გაჭედილი იყო. როსტოვის გოროდნიჩსაც, თითქო განგებ, ორნაირი გვარი ჰქონდა სკვოზნიკ-დმუხანოვსკისავით. დაწყებისათანავე როგორღაც გულში მოხვდა გოროდნიჩს და დაიწყო ხალხის თვალიერება; ხალხი ხარხარებდა და თან უყურებდა თავის შემავიწროვებელ გოროდნიჩს. როგორც კი გაათავეს პირველი მოქმედება, ის შევარდა სცენაზე და დაიწყო ლანძღვა და ყვირილი: როგორ გაბედეთ დაწერა და წარმოდგენა საქვეყნოდ ასეთის პასკვილისა თქვენს მთავრობაზე?!
>
> სცენაზე ყველა ჩაჩუმდა. დოროშენკომ ზრდილობიანად, მაგრამ ბოროტის ღიმილით, აუხსნა იმას, რომ ეს პიესა ცნობილი მწერლის გოგოლის დაწერილია და რომ იმას სატახტო ქალაქებშიაც თამაშობენ. დასამტკიცებლად დაბეჭდილი წიგნი აჩვენა.
>
> —სცრუობთ!.. შეუძლებელია, რომ ამისთანა სისაძაგლის თამაშობის ნება მისცენ.. მე გიკრძალავთ განგრძობას; სხვა რამე ითამაშეთ!-ყვიროდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაბრაზებული ქალაქის უფროსი.
>
> —ეს შეუძლებელია, პოლკოვნიკო!-ეუბნებოდა დოროშენკო—ნებას არ გაძლევთ მეთქი, არ გაძლევთ ნებას... ციხეში გიკრავთ ყველას თავს!—ღრიალებდა გოროდნიჩი.
>
> ხალხი აჩოჩქოლდა როგორც სცენაზე, ისე თეატრის დარბაზში. ამ დროს ზარების წკრიალი მოისმა, რომელიც თან და თან თეატრს უახლოვდებოდა და თეატრის შემოსასვლელ კარებთან ჩაჩუმდა. შეხედეს, თეატრის დირექტორი იაკიმ ადამის ძე ცელნერი შემოვიდა. ის ისედაც ცხარე კაცი იყო და როდესაც დოროშენკომ აუხსნა, რაც მოხდა, მაშინ ხომ მთლად გადაირია.. მივარდა გოროდნიჩს ჯოხით, გამოაგდო სცენიდან და თან მიაყვირა.
>
> —ბურბინი! ბრიყვი, უსწავლელი პირუტყვი! იცანი შენი თავი განა?!
>
> რაც ამის შემდეგ მსახიობთა შორის და საზოგადოებაში მოხდა, აუწერელია!. ყველამ ერთისხმით ღრიალი დააყარა: ჰო, ჰო, ჰოო. ისეთი სიცილ-ხარხარი ასტყდა, რომ ძლივ დააჩუმეს საზოგადოება. მთელი პოლიცია და იმისი უფროსი უცბად გაჰქრნენ. დანარჩენმა მოქმედებებმა ჩინებულად ჩაიარეს. წარმოდგენის გათავების შემდეგ საზოგადოებამ დიდი მადლობა გამოუცხადა თეატრის მოხელეთ და სთხოვა, ხშირად ეთამაშათ ეს მშვენიერი პიესა. შეურაცხყოფილმა ქალაქის უფროსმა საჩივარი გაგზავნა გუბერნატორთან, მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა: ეკატერინოსლავიდან ჯერ საყვედური მოუვიდა და შემდეგ სულ წააბრძანეს როსტოვიდან („პეტ. ვედ.“)

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

უცხო პირმა რომ ყური უგდოს ჩვენ ხმოსნებს, მეტად გულ-მოდგინე და ქალაქის ინტერესების დიდი გულ-შემატკივარი ეგონება: წვრილმან, მნიშვნელობას მოკლებულ საკითხსაც კი დიდ ყურადღებას აქცევენ და დროს არ ზოგავენ მის კარგად გამორკვევისათვისაო. მაგრამ ჩვენ ხომ უცხონი არა ვართ და ამიტომ კარგად ვიცით, რომ წვრილმანის ეგრე გამოკიდება უსაქმური ჩხირკედელაობაა და სხვა არაფერი. საბჭოს შემუშავებული ჰქონია დასაფასებელ გარდასახადის გაწერის წესი, რომელიც სავსებით არ ეთანხმებოდა საქალაქო დებულების შესაფერ მუხლს: კანონი თხოულობს ამ გადასახადის გაწერას ქონების წმინდა შემოსავლის მიხედვით და იგი არ უნდა აღემატებოდეს $10^0/_0$-ს ამ შემოსავლისას, საბჭო კი ქონების ღირებულების მიხედვით იღებდა ამ გადასახადს. საქალაქო საქმეთა საკრებულომ დაიწუნა საბჭოს წესი და მოითხოვა კანონის შესაფერად მოქმედება. ყველა ხმოსანი იმას ამბობდა, რომ ფორმალურად საკრებულო მართალია და არსებითად კი სულ ერთია, ასე იქმნება ეს გადასახადი გაწერილი, თუ ისე. მაგრამ მაინც თითქმის მთელი საათი ილაყბეს, რომ ბოლოს საკრებულოს აზრი მიეღოთ (გადასახადი უნდა უდრიდეს $7^1/_2{}^0/_0$-ს წმინდა შემოსავლისას)

გამგეობას ხორცის ნიხრის შეცვლა განეზრახავს, რადგან ამ ბოლოს დროს ნიხრი თითქმის აღარ არსებობდა—ყასბები თავის გუნების მიხედვით ახდევინებდნენ ფასს მყიდველს. მაგრამ სწორედ საბჭოს სხდომის დღეს მოსვლოდა მას გუბერნატორის ქაღალდი პასუხად საბჭოს შუამდგომლობისა—ხორცის სამ ხარისხად დაყოფისათვის შემუშავებული და დამტკიცებული სავალდებულო დადგენილებანი ნუ იქმნება ძალაში ქალაქის საყასბოების დაარსებამდეო. გუბერნატორს არ შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა, როგორც უკანონო, და თხოულობს დაუყოვნებლივ შემოიღონ ეს სავალდებულო დადგენილებანი. მეტი რაღა ჩარა იყო, მიიღეს გუბერნატორის მოწერილობა აღსასრულებლად. ვნახოთ როგორ აღსრულდება იგი.

ჯერი მიდგა ქალთა სიფილიტიურ საავადმყოფოზე. ყველა გაიძახოდა და გაიძახის—ეხლანდელი საავადმყოფო ყოვლად უვარგისია, მის შეკეთებისათვის ფულების ხარჯვა უაზროა და ამიტომ საჭიროა ახალის შენობის აგება, მაგრამ არა ეშველა რა ამ საქმის გადაწყვეტას. გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებულ სხდომის წინადადება იყო: 1) 1200—1500 მანეთამდე გადაიდოს ეხლანდელ საავადმყოფოს პატარა შეკეთებისათვის, 2) 12,000 მან. ახალ ბარაკის ასაშენებლად, რადგან შეკეთებული საავადმყოფო ერთ წელს ძლივს ივარგებს და საჭიროა წინდაწინვე დროებით სადგომის დამზადება ავადმყოფთათვის და 3) შესდგეს პროექტი ახალის დიდის საავადმყოფოსი. გადაწყდა მხოლოდ პირველი წინადადება. გადაიდოს 1625 მ. საავადმყოფოს შეკეთებისათვის იმ პირობით, რომ იქვე აშენდეს სარეცხის საშრობი ფარდული. სხვა ორი წინადადება კი თავმჯდომარის მეცადინეობისა და ჩვენის ხმოსნების „გულმოდგინეობის“ წყალობით გადაიდო—შემდეგ სხდომაზე განსაკუთრებულ მოხსენებას წარმოგიდგენთ ამ საკითხების შესახებო. ტყვილი შეიქმნა ჩერქეზიშვილისა და არ. ბაბოვის ცდა—ეხლავე გადავსწყვიტოთ ეს საჭირო კითხვაო. ჩერქეზიშვილი გაიძახოდა—მოხსენება წარმოდგენილია და არ მესმის, რა ახალი მოხსენება უნდა შევადგინო კიდევო. ბაბოვი ენფენჯიანცს ეხვეწებოდა, მხარი მიეცი ჩერქეზიშვილსო, მაგრამ ის თავის პორტფელს ხელს არ აშორებდა (უპორტფელოდ ჯერ არ გვინახავს) და მჭევრმეტყველურად სდუმდა. ნახტომი შეეშალა ხმ. ანანოვსაც—მეო სთქვა, მან ჩემის მჭევრმეტყველობით ისეთი შთაბეჭდილება მოვახდინე ამას წინათ ხმოსნებზეო, რომ ბარაკები ავაშენეთო, ეხლა კიდევ ვიმჭევრმეტყველებ სიფილიტიური საავადმყოფოც ავაშენოთო, მაგრამ შესტაკოვმა მაინც თავისი გაიტანა—გადაიდო საკითხი. მჭერმეტყველი ხმოსანი დარბაზიდან გავიდა და შემოთვალა), არ შემოვალ (რომ არ შემოსულიყო, კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა არ იქნებოდა), სანამ ხელმეორედ არ გადაწყვეტთ ამ საკითხსაო. შესტაკოვი დასთანხმდა, ალბად, იმედი ჰქონდა ხმოსნების საქმიანობისა, და კითხვა ახალის კენჭის ყრით ისევ გადაიდო.

საადრესო სტოლსაც გრძელი ისტორია აქვს, მაგრამ მოკლედ მოვსჭრით. ინიციატივა საადრესო სტოლის დაარსებისა, ისე როგორც მეეზოეთა ინსტიტუტისა, როგორც ვიცით, ეკუთვნის ადმინისტრაციას, რომელსაც თავისი განსაზღვრული მიზანი ჰქონდა. საბჭომ უარი სთქვა ერთზედაც და მეორეზედაც—ხარჯის მეტი, სარგებლობა არაფერი ექნება ქალაქის მცხოვრებლებსო (და მართალიც არის). მიუხედავათ ამისა მეეზოეთა ინსტიტუტი შემოღებულია და საადრესო სტოლიც არსებობს—პოლიციას ხომ ეხლა ყოველ-გვარი ცნობა ხელთ აქვს. მაგრამ ყველა ამ ცნობების სისტემაში მოყვანასა და გაძღოლას ცალკე შტატი სჭირდება და ცალკე შტატს კიდევ—ფული. ადმინისტრაციის წინადადების აზრიც ეს ფულია—6000 მან. წლიურად გვაძლიოს ქალაქმა და ცენტრალურ საადრესო სტოლს დავაარსებთო. ადმინისტრაციის წინადადების მომხრე სულ სამი კაცი შეიქმნა მთელს საბჭოში—ბ. შესტაკოვი, ავთანდილოვი და ქოჩორიანცი. არ. ბაბოვი საბუთიანად ლაპარაკობდა, რომ საადრესო სტოლის დაარსება ქალაქისათვის საზარალო იქნებაო; გარდა ზარალისა, უფლებაც არ გვაქვს 6000 მანეთი და მეტიც ხარჯი ყველა შემდეგ საბჭოებს დავავალოთო: საადრესო სტოლი წმინდა ადმინისტრატიული დაწესებულებაა ადმინისტრატიულის მიზნებით და აქ ქალაქს რა ხელი აქვს; უკეთესი იქნება ეს ფული სხვა უფრო საჭირ-ბოროტო მოთხოვნილებას, მაგ. სწავლა-განათლების საქმეს მოვახმაროთო. ბ. შესტაკოვი სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ საადრესო სტოლის ხარჯი „დასაბრუნებელი ხარჯია“ და რაც შეეხება სწავლა-განათლების საქმეს, აქ „ჩვენ იმდენი გაგვიკეთებია, რომ დროა ვიფიქროთ გაჩერებაზედო (ჰიპერბოლა არ გეგონოსთ, მართალს მოგახსენებ), ლამის არის სატახტო ქალაქებს გავუსწროთო“, მაგრამ ამაოდ—საბჭომ, გარდა ზემოხსენებულ სამი პირისა, ერთხმად უარ-ჰყო ადმინისტრაციის წინადადება, დი დაიშალა კიდეც.

გორის მემამულეთა ამხანაგობის კრების გამო

24 თებერვალს სადგურ გომში დანიშნულია გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობის საზოგადო კრება, რომლის უმთავრესი საკითხი იქმნება, თუ რითი შეიძლება გაუმჯობესდეს ამხანაგობის შეფერხებული საქმეები.

დღეს ამხანაგობის საქმეები არა სასიამოვნო მდგომარეობაშია, და თუ საქმის მოთავეები და ამხანაგობის წევრები დიდის დაკვირვებით, თანხმობით და შეერთებულის ძალით არ დაეხმარენ საქმეს და პირადი ინტერესები და შენ-ჩემობა არ უკუ-აგდეს, ეს დიდათ სიმპატიური ამხანაგობაც სულს განუტევებს, რაც ძლიერ სამწუხარო იქნება ყველა აქაურ მემამულეებისათვის განურჩევლად წოდებისა. დღეს თუ ჩვენ ნაჭირნახულევს ვასაღებთ საშუალო ფასად მაინც, როცა ეს ამხანაგობა აღარ იქნება, მაშინ ნამდვილი ხელ-საყრელი დრო დაუდგებარ ალაგობრივ თუ მოსულ ვაჭრებს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ჩარჩებს; მაშინ მათ შეეძლებათ ერთი პირი იქონიონ და თავიანთთვის სასურველ ფასებში ჩაიგდონ მეურნეთა ოფლით მონაგვარი, მთელი წლის ნაჭირნახულევი.

არც ისე უნუგეშოთ ჩაითვლება ამხანაგობის დღევანდელი მდგომარეობა, რომ მის გამობრუნებაზე იმედი დავკარგოთ, თუ აქაური რამოდენიმე შეგნებული და ამ საქმის გულ-შემატკივარი მტკიცე ენერგიით მოეკიდებიან ამხანაგობის გაუმჯობესების წყაროს გამოძებნის საქმეს. მე, როგორც ადგილობრივი მემამულე, საჭიროდ ვსთვლი ამხანაგობის ყურადღება მივაქციო ერთ საშუალებაზე, რომელსაც, ჩემის აზრით, შეუძლია სასურველი ნაყოფი მოუტანოს ამხანაგობას; სახელდობრ საჭირო მგონია, რომ, თუ ყველა არა, რამოდენიმე ნაწილი წევრებისა მაინც ხელშეკრულობას დასდებდენ, რომ თავიანთი ჭირნახულები მიჰყიდონ ამხანაგობას და არა კერძო პირებს. გავიხსენოთ, რომ კახეთის მეღვინეთა ამხანაგობის ყველა წევრებს ავალებს წესდება თავიანთი ღვინოები ჩააბარონ ამხანაგობას, და არა სხვას; ამ გზით საქმეც, სხვებთან შედარებით, კარგად მიჰყავთ.

სინდიკატი ფულის სარგებელს იხდის წლიურად 2,000 მანეთამდი მაშინ, როცა მისი ვალი სხვა-და-სხვა პირებზე ირიცხება 10,000 მანეთამდე, ეს რამდენიმე წელიწადია; ასე რომ ნახევარი ნაწილი ამხანაგობის ძირითადი თანხისა ორი-სამი წლით გასესხებულია სხვა-და-სხვა პირებზე, და მით ფულის კრიზისის გამო ამხანაგობას საქმის წარმოებაში ხელი ეშლება და ზარალში შედის. საჭიროა გამგეთ ყურადღება მიაქციონ ამ ფულის აკრების საქმეს. დღეს რომ ამხანაგობას თავის გავალებული თანხა ხელში ჰქონდეს, ასეთს გაჭირვებაში ჩავარდნილი აღარ იქმნებოდა.

განმეორებით ვიტყვი, რომ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს: 1) ამხანაგობის წევრთა დავალება, რომ თავიანთი სამეურნეო ნაწარმოები უთუოდ სინდიკატს ჩააბარონ გასასყიდათ და 2) მოაგროვონ სინდიკატის გავალებული ფული, თუ გვინდა საქმე წარმატების გზას დაადგეს.

გ—ძლი.

წერილი ბაქოდან

(დახმარება შემახელებს)

თუმცა ბაქო ეხლა თვითონაც ცუდ მდგომარეობაშია ჩავარდნილი აქაური არა ჩვეულებრივი კრიზისისა გამო, მაგრამ მაინც კიდევ ამ ქალაქის მცხოვრებლებმა დიდი თანაგრძნობა და შემწეობა აღმოუჩინეს დაღუპულ შემახელებს. როგორც წინათ გწერდით, როგორც კი გაიგეს მათი აღუწერელი უბედურება, იმავე დღეს შესდგა კომიტეტი თაღიევის თავმჯდომარეობით, რომელმაც ხუთასი თუმანი შესწირა ამ საქმეს. კომიტეტი რამდენიმე ნაწილად გაიყო და შეუდგნენ შემოწირულების შეგროვებას. რამდენიმე კაცი თვით შემახაში გაგზავნეს და მიანდეს იქ მოქმედება. ამ კომიტეტმა ჯერ-ჯერობით შეაგროვა მარტო ფულად 64 ათასი მანეთი, ამას გარდა ჰკრებენ ყოველ გვარ შემოწირულებას: საქონლო მასალას, ტანისამოსს, სურსათს და სხვ.

ამ კერძო კომიტეტს გარდა, როგორც მოგეხსენებათ, ბაქოში არსებობს ოფიციალური უმთავრესი კომიტეტი აქაური გუბერნატორის თავმჯდომარეობით, რომელთანაც პირველს მჭიდრო კავშირი აქვს და მასთან შეთანხმებით მოქმედობს. ბაქოს თვითმართველობამ გაიღო შემახელების შესაწევად 11 ათასი მანეთი. ბუხარის ემირმა, რომელმაც აქ გამოიარა, შესწირა ამავე საქმეს სამასი თუმანი.

ამას გარდა ყველა საქველ-მოქმედო წარმოდგენების, რომლებიც აქ იმართება, შემოსავლიდან წილს უდებენ დაღუპულ შემახელებს. 13-ს მიმდინარე თვეს გამართეს აქ ბაქოელმა ფრანგებმა ვიქტორ ჰიუგოს სახსოვრად სალიტერატურო და სამუსიკო საღამო, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო. საღამომ მშვენივრად ჩაიარა და დიდათაც ასიამოვნა დამსწრენი. შემოსავლის ნახევარი შემახელების სასარგებლოდ იყო დანიშნული.

იმ დროს, როცა ბაქოდან ექვსი ათასი უსაქმოდ დარჩენილი მუშა გაისტუმრეს თავიანთ სამშობლოში, დაღუპული შემახიიდან ბაქოს აურებელი ხალხი მოაწყდა, რომელსაც ყველაფერი დაუკარგავს და არავითარი სახსარი აღარ აქვს ცხოვრებისათვის. აქ მათ ბინას აძლევენ, არჩენენ და ამასთანავე იძულებული არიან გზის ხარჯიც კი გაისტუმრონ.

ბაქოს ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა უკანასკნელ თვის სხდომაზე, დაუთმოს ქალაქის ადგილი იმ გაჭირვებულ შემახელებს, რომლებიც ისურვებენ სამუდამოთ აქ დარჩენას, ასე და ამგვარად, ბაქოელები ყოველ სახსარს ჰხმარობენ, რათა შეუმსუბუქონ გადატაკებულ შემახელებს მოულოდნელი უბედურება. მაგრამ გაჭირვებულთა და გადატაკებულთა რიცხვი ისე დიდია, რომ მილიონებია საჭირო ამ საქმისთვის და, უკეთუ მთელმა რუსეთმა არ მიიღო მონაწილეობა და თვით მთავრობაც არ დაეხმარა, ბევრს ვერას უშველიან.

წუთისოფელი

წერილი ოზურგეთიდან

(თეატრის აშენების საქმე)

ოზურგეთის ინტელიგენციამ ამ სამი-ოთხი წლის წინად გადასწყვიტა ააგოს ქ. ოზურგეთში თეატრისათვის შენობა, სადაც სცენის მოყვარეთა და სხვათ შეძლება მისცემოდა გაემართა ქართული წარმოდგენები. ამ სიმპატიურ საქმეს, როგორც ყოველ ახალ დაწყებულ საქმეს ჩვენში, ყველა დიდის სიხარულით და თანაგრძნობით მიეგება და თითქმის ყველამ აღუთქვა ნივთიერი შემწეობა. სიტყვა საქმეთაც აქციეს და დაიწყეს ფულების მოგროვება, გამართეს ქართული წარმოდგენა, რომლის სრული შემოსავალი 300 მ. მეტი გადადვეს ამ საქმის განსახორციელებლად. სამწუხაროდ, მას შემდეგ საქმე, ცოტა არ იყოს, შეფერხდა და მიჩუმდა.

ამ დღეებში კიდევ აღიძრა აქაურ ახალ გაზრდებ შორის კითხვა თეატრის საკუთარ შენობის აგებაზე. მოილაპარაკეს და სთხოვეს ქალაქის თვით-მმართველობას დაეთმო თეატრის ასაგებად თავისუფალი ადგილი ქალაქის ბაღის აღმოსავლეთის ნაწილში. 11 თებერვლის სხდომაზე ხმოსნების უმრავლესობამ გადასწყვიტა მუქთად

დაუთმოს ადგილი სათეატრო შენობის ასაგებათ. ახლა, როგორც ხედავთ, ადგილი გვაქვს და არც ფულების მოგროვება არის ძნელი, თუ ამ დიდათ სასარგებლო საქმეს მეტის მუყაითობით და ენერგიით მოჰკიდებენ ხელს და ძველებურად გულს არ აიცრუებენ. ამ მიზნის მისაღწევად, ამ მოკლე დროში აპირებენ მოიწვიონ საზოგადოება, მოილაპარაკონ და აგრეთვე ამოირჩიონ გამგე პირებიც.

ვუსურვებთ ამ ახალ დაწყებულ საქმეს განხორციელებას.

იშო.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 თებერვალი

პეტერბურგი. 18 თებერვალს, ღვთივ განსვენებულების იმპერატორის ნიკოლოზ პირველის და დიდის მთავრის ალექსი მიხეილის ძის გარდაცვალების დღეს, პეტრე-პავლეს ტაძარში, ნაშუადღევის ორ საათზე, სასახლის სამღვდელოებამ მამა იანიშევის მეთაურობით გადაიხადა პანაშვიდი. ტაძარში ბრძანდებოდნენ ხელმწიფე დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, მიხეილ ნიკოლოზის ძე, გიორგი მიხეილის ძე მეუღლით, ალექსანდრე მიხეილის ძე მეუღლით და სერგეი მიხეილის ძე.

17 თებერვალს კონსერვატორიის დარბაზში კნეინა ობოლენსკაია-ნელედინსკაია-მელეცკაიამ მორჩენილ პატარა ქალთა თავშესაფარის სასარგებლოდ გამართა საქველ-მოქმედო წარმოდგენა იტალიურის ოპერისა; ითამაშეს რუბინშტეინის ოპერა „დემონი“. წარმოდგენას დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე დედოფლები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მეუღლით და ქალით, მიხეილ ნიკოლოზის ძე და სერგეი მიხეილის ძე.

18 თებერვალს, თავადის ევგენი მაქსიმილიანეს ძის რომანოვსკის ლეიხტენბერგის ჰერცოგის გარდაცვალების ნახევარ წლის დღეს, ალექსანდრე-ნეველის ლავრის ისიდორეს ეკლესიაში, სადაც განსვენებულის გვამი მარხია, გადახდილი იყო წირვა და პანაშვიდი.

18 თებერვალს უეცრივ გარდაიცვალა ფინლანდიის მსუბუქი ზღვაოსნობის საზოგადოების დამაარსებელი და დირექტორი ფონ-გარტმანი.

ხარკოვი. სახელმწიფო ცხენის მომშენებელი ქარხანა ჰმართავს აქ ცხენების გამოფენას.

მოსკოვი. საერთო შორისო თევზის მრეწველთა კონგრესის წევრებმა დღეს დაათვალიერეს კრემლი, სასახლე, ციხე-დარბაზები და მუზეუმი; უცხოელებმა დაათვალიერეს იბერიის სამლოცველო. ხვალ დელეგატები დაათვალიერებენ ტრეტიაკოვსკის გალერეას, მაცხოვრის ტაძარს და რომანოვების სახლს.

სოხუმი. დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული მეუღლით პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგელით 17 თებერვალს მშვიდობით მოვიდნენ გაგრაში.

რეველი. გემი „მალაია“ შორეულ აღმოსავლეთისკენ წავიდა.

ომსკი. წითელი ჯვრის სამმართველოს თავმჯდომარის ამხანაგად ამოირჩიეს სამხედრო-საქიმიო ინსპექტორი კაზანსკი.

ვარშავა. ვარშავის მკერვალნი შეამდგომლობენ, ეპატიოთ მათ გილდის გარდასახადი, რადგანაც იმათი დუქნები სახელოსნოების და მასალას იძენენ იმ ვაჭართაგან, რომლებსაც გამოსყიდული აქვს მოწმობები.

სარატოვი. ხალხის სიფხიზლის სამზრუნველომ გახსნა საჩაიე, სასადილო და საკონცერტო დარბაზი ხალხისთვის.

მოსკოვი. დღეს მთავარ ანგელოზის ტაძარში მთავრობის წარმომადგენელთა თანდასწრებით გარდაიხადეს პანაშვიდი ღვთივ განსვენებულ იმპერატორთა ნიკოლოზ პავლეს-ძის და ალექსანდრე ნიკოლოზის-ძის სულის მოსახსენებლად.

ლონდონი. კლერკდორპსთან მომხდარ ბრძოლაში დახოცილთა სიაში შემდეგ ნაჩვენებია კიდევ 5 მოკლული ოფიცერი და 45 ჯარის კაცი, აგრეთვე ორი დაჭრილი ოფიცერი.

ვაშინგტონი. აქ მოვიდნენ ბურების დელეგატები ვესსელსი და ვოლმარანსი; რეპორტიორებს აუწყეს, რომ ჯერ არა აქვთ შემუშავებული გეგმა.

ვილნო. ინტელიგენტთა კლუბი გაიხსნა.

პეტერბურგი. ვოლოგდიდან და პოლტავიდან იტყობინებიან, გოგოლის სადღესასწაულოდ ემზადებიანო.

ბერლინი. ჩინეთის ექსპედიციის ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს რეიხსტაგში კანცლერმა განაცხადა, რომ ინგლისისა და იაპონიის ხელშეკრულობა არა სცვლის გერმანიის პოლიტიკის მდგომარეობას, არც ჩინეთში, არც კორეაში გერმანიას ტერიტორიული მიზანი არა აქვს, და ინგლისის და იაპონიის შეთანხმება მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთს მხარი დაუჭირონ, არაფერს არ ავნებს გერმანიის ინტერესებს და არცა სცვლის ინგლისის და გერმანიის შეთანხმებას 16 ოქტომბრისას 1900 წ. ინგლისის და იაპონიის ხელშეკრულობა გერმანიამ შეიტყო, როდესაც იმას ხელი მოაწერეს. რაც შეეხება გერმანიის ჯარებს ჩინეთში, იმათ გამოიხმობენ სახლში, როცა-კი საქმეთა მდგომარეობა საკმაოდ გასწორდება.

19 თებერვალი.

პეტერბურგი. „პრავიტელსტვენი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია დაწვრილებითი მოხსენება კავკასიის მთავარ-მართებლისა შემახის უბედურებაზე. დეპეშის უქვეშევრდომილესს მოხსენების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა, უკვე გადადებულ 50,000 მანეთის გარდა, კეთილ ინება კიდევ 100 ათას მანეთის გადაცემა მთავარ-მართებლის განკარგულებაში მოსალოდნელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორი ზინოვიევი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

კალიშის კათოლიკეთა ეპისკოპოსი ბერესნევიჩი გადაყენებულ იქმნა თანამდებობისაგან.

დამტკიცებულ იქმნენ თავიანთ თანამდებობებზე მარშლები—კურსკის გუბერნიისა დურნოვო, ბესარაბიისა—კრუპენსკი და უფისა—კუგუშევი.

17 თებერვალს საფრანგეთის საელჩოში შესდგა საცეკვაო საღამო, რომელსაც დაესწრნენ უმაღლესი პირნი.

18 თებერვალს ლეიბ-გვარდიის პოლკის მანეჟში გაიმართა concouzs hippigue, რომელსაც უმაღლესნი პირნი დაესწრნენ.

დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს-ძე საზღვარ გარეთ წავიდა.

გარეშე საქმეთა მინისტრისას გაიმართა სადილი ბუხარის ემირის პატივსაცემლად.

18 თებერვალს ბუხარის ემირი სადარბაზოდ იყო საიმპერატორო სახლის პირებთან.

სახელმწიფო ბანკის მმართველი საზღვარ გარეთ წავიდა. მის თანამდებობას ასრულებს დროებით ბანკის საბჭოს წევრი ტიმაშევი.

მოსკოვი. მევენახეთა კრებამ დაადგინა გამოითხოვოს ნებართვა უაქციზოდ ღვინის სპირტის ღვინისთვის მიმატებისა, რომ შესაძლებელი იქნეს ღვინის სიმაგრის 16 გრადუსამდე აყვანა, ღვინისა და სპირტის შერევის წესების გადასინჯვა და ღვინის სპირტის სახაზინო დუქნებში გაყიდვის ნებართვა.

ასტრახანი. ხულიგან ნილინმა სასიკვდილოდ სცემა ღვიძლ დედას; დედა გარდაიცვალა; მიზეზი მკვლელობისა ის ყოფილა, რომ დედას არ მიუცია შვილისათვის 50 კ. ღვინის დასალევად.

რომი. მეფემ არ მიიღო სამინისტროს თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

ლონდონი. პოლკოვნიკი ანდერსონი, დონოპის რაზმის უფროსი, მოვიდა კრააიპანში ცხრა ოფიცრით და 245 ჯარის კაცით. რაზმი შესდგომია გზას 12 თებერვალს და კლერკსდორპიდან 10 მილის მანძილზე მას თავს დასხმია მტერი. ბრძოლა სასტიკი ყოფილა. ბურების რიცხვი 1200-დან 1700-მდე ყოფილა. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ დელარეი, კემპი, კოლიერსი და სემმერი. ხმა დადის, ვითომც სემმერი მოკლულია.

სოფია. ამორჩეულია 97 მთავრობის მომხრე, 33 სტოილოვისა, 8 სტამბულოვისა, 10 კარაველოვისა, 7 დემოკრატი, 10 აგრარი, 9 როდოსლავოვის მომხრე და 8 სოციალისტი.

ეკატერინოსლავი. გუბერნიის მარშლად დაამტკიცეს კამერგერი მიკლაშევსკი.

ნიკოლაევი. ცოლიანმა ახალგაზდა ანტონ ზაიცევმა მოჰკლა 15 წლის ქალი აგაფია ალექსეევა შემაძრწუნებელ ძალადობის დასაფარავად.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 15 თებერვალს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,75	
ბერლინზე „	$46,27^{1}/_{2}$	
პარიზზე „	$37,67^{1}/_{2}$	
ბირჟის დისკონტი	$4^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$%	
1% სახელმწიფო რენტა	$96^{1}/_{8}$	გაყიდ.
$1^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	—	„
[illegible]% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	376	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	298	„
$3^{1}/_{2}$% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—	
$4^{1}/_{2}$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარეთ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) **ტფილისიდან ბათუმისაკენ:** 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო —გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო —გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასითოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ელიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ახალი წიგნი

საქართველოს წმიდანები

შედგენილი სასულიერო სკოლებისთვის
გ. იოსელიანის-მიერ

მოწონებულია საქართველოს საეგზარქოთ სასწავლებლის რჩევისაგან.

იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში. (10—9)

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი
„მოამბე“
(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის ფურცელი“
(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	4 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელ“ სურათებიანი დამატებით უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი 10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი** № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ „Цнобисъ-Пурцели.“

მთავრობის ნება-დართვით მომავალ 15 მარტს გაიხსნება ქ. ტფილისში

სამეურნეო სასწავლებელი

ბაღოსნობისა, მევენახეობისა, მებოსტნობისა და მეფუტკრეობისა, რომელშიაც მთელი სწავლა დამთავრდება **რვა თვეში** (დაიწყება 15 მარტს და გათავდება 15 გიორგობისთვეს). სკოლაში მიიღებიან რუსული წერა-კითხვის მცოდნე ყმაწვილები, არა ნაკლებ 15—16 წლისანი. ვინც სწავლას კარგათ გაათავებს, მიეცემა მოწმობა. ფასი მთელის სწავისლა **რვა თუმანია**. ვისაც ჰსურს მიიღოს სკოლის დაბეჭდილი წესდება, უნდა გამოგზავნოს 7 კაპ. მარკა. თხოვნები მიიღება 10 მარტამდის, ჯერით.

ადრესი: Въ Тифлисъ, Завѣд. Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. переулокъ, № 20). (10—5)

Дозволено цензурою Тифлисъ, 19 Февраля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.